პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გენდერული ანალიზი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისი, 2014

კვლევა მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის ერთობლივი პროექტის - „ქალთა გაძლიერება შრომითი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და გენდერული ძალადობის დასამარცხებლად“ - ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ამ კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია მისი ავტორი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის პოზიციას.

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ავტორი: ნანა გოჩიაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ნინო ჩიხლაძე

აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102
საქართველო (+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2014, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შესავალი

განათლების უფლება დიდი ხანია აღიარებულია არა მხოლოდ როგორც ხელმისაწვდომობა განათლებაზე, არამედ ასევე ვალდებულება, აღმოიფხვრას ყველა სახის დისკრიმინაცია განათლების სისტემის ყველა დონეზე და დამტკიცდეს მინიმალური სტანდარტები თანასწორობის მისაღწევად. განათლება არის აუცილებელი ყველა სახის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებების უზრუნველყოფისთვის.[1]

საქართველოს სახელმწიფომ 2013 წლის 26 დეკემბერს მიიღო პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020) და სამოქმედო გეგმა (2013-2017). სტრატეგიაში მოცემულია პრიორიტეტები და მიზნები, რომელთა განხორციელებამ კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ხელი უნდა შეუწყოს ადამიანური რესურსების მდგრად განვითარებას (შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებას, დასაქმებისა თუ თვითდასაქმების შესაძლებლობას, შემოსავლის მიღებას და თვითრეალიზებას), შრომის ბაზრის ამჟამინდელი თუ სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებით – ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის შემცირებას.

2013-2017 წლების სამოქმედო გეგმა მთავარი მექანიზმია სტრატეგიის სისტემატური და უწყვეტი განხორციელებისათვის. იგი მოიცავს სტრატეგიის ყველა კომპონენტს, კონკრეტულ ამოცანებს, დაგეგმილ ღონისძიებებს, ფინანსებს და იმ დაწესებულებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მის განხორციელებაზე. სამოქმედო გეგმა მოიცავს მოკლე (2013-2014) და საშუალო ვადიან ღონისძიებებს (2015-2017).

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმის მიმოხილვა, ქალთა დასაქმების შესაძლებლობებისა და პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიისა (2013-2020) და სამოქმედო გეგმის (2013-2017) გენდერული ანალიზი.

განათლების სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების გენდერულ ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათი გენდერული სენსიტიურობისა და ქალთა საჭიროებების განსაზღვრისთვის. იგი ქმნის წინაპირობას, რომ განათლების პოლიტიკის დოკუმენტებისა და პროგრამების შექმნის, განხორციელების,

[1]A Human Righrs-based approach to Education for All, a framework for the realization of children's right to education and rights within the education, United Nations Educational Scientific and Cultural Organization, UNICEF, Pg. 7
http://unesdoc.unesco.org/images/0015/001548/154861E.pdf

მონიტორინგისა და შეფასების პროცესებში ასახული იყოს საკითხები, რომლებიც გენდერულ უთანასწორობას ეხება.[2]

I. პრობლემის აქტუალობა

1. საერთაშორისო კონტექსტი

განათლება არის ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ბავშვების, საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებისთვის. განათლება მჭიდროდ უკავშირდება ათასწლეულის განვითარების ყველა მიზანს, როგორებიცაა: გენდერული თანასწორობის გაძლიერება, სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა, ეკონომიკური ზრდა.[3]

განათლების, როგორც ადამიანის უფლებების, ოფიციალური აღიარება მოხდა 1948 წლიდან, როდესაც მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია.[4] ამის შემდეგ აღნიშნული მიდგომა განმტკიცდა არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში, მათ შორის, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) კონვენციაში განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ (1960),[5] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში[6] (1966). აღნიშნული ხელშეკრულებებით განმტკიცებულია ყველა ბავშვისათვის თავისუფალი, სავალდებულო დაწყებითი განათლების მნიშვნელობა, ასევე, განსაზღვრულია საშუალო განათლების სისტემის განვითარების აუცილებლობა, რომელიც ყველა ბავშვისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება. განათლების უფლების რეალიზება აგრეთვე გულისხმობს ხელმისაწვდომობას უმაღლეს განათლებაზე, რაც თავის თავში მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს საბაზისო განათლება ყველა იმ პირისათვის, ვინც ვერ შეძლო დაწყებითი განათლების მიღება. გარდა ამისა, აღნიშნული ხელშეკრულებები განამტკიცებს განათლების მიზანს – პიროვნების განვითარებას, გაძლიერებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას.[7]

პროფესიულ განათლებას, სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული როლი აკისრია ქალთა თანასწორობის მიღწევაში არა მხოლოდ განათლების კუთხით,

---

[2]Gender analysis in Education, United Nations Girl's Education Initiative, 2012, pg. 3
[3]Why education for all So Important? Pg.1;
http://www.results.org/images/uploads/files/why_education_matters_11_04_09.pdf
[4]საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით
[5]საქართველოში ძალაშია 1993 წლის 4 თებერვლიდან
[6]საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან
[7]A Human Righrs-based approach to Education for All, a framework for the realization of children's right to education and rights within the education, United Nations Educational Scientific and Cultural Organization, UNICEF, Pg. 7
http://unesdoc.unesco.org/images/0015/001548/154861E.pdf

არამედ შემდეგში მათი ეკონომიკური აქტიურობისა და საზოგადოების ყველა სფეროში თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის. დღესდღეობით ტექნიკური და პროფესიული განათლება და ტრენინგები (TVET) მიიჩნევა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობად და ეკონომიკაში შემოსავლის მიღების საშუალებად ფორმალურ და არაფორმალურ სექტორებში. ტექნიკურ და პროფესიულ განათლებას, ასევე, ტრენინგებს შეუძლია ითამაშოს ძალიან მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკის განვითარებასა და სიღარიბის შემცირებაში.[8]

ამასთან, როდესაც ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და სწავლების მიდგომები არის გენდერულად დაბალანსებული და ფოკუსირებულია კერძო საწარმოების გაძლიერებასა და მდგრადობაზე, ის შესაძლებელია დამატებითი ხელშემწყობი გახდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.[9]

განსაკუთრებული როლი აკისრია პროფესიულ განათლებასა და სწავლებას ქალთა დასაქმებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით. ქალები შეადგენენ ახალგაზრდებისა და აქტიური სამუშაო ძალის მქონე საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს განვითარებად ქვეყნებში. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ქვეყნებში ქალები ხშირად არიან თვითდასაქმებულნი არაფორმალურ შრომით ბაზარზე, ტექნიკურმა, პროფესიულმა განათლებამ და სახელობო სწავლებამ შესაძლებელია შეასრულოს ძალიან მნიშვნელოვანი როლი ქალების სავაჭრო და სამეწარმეო უნარების განვითარებაში, რაც განსაზღვრავს მათი ეკონომიკური აქტიურობის მდგრადობასა და რენტაბელურობას.[10]

პროფესიული ტრენინგების განვითარების ევროპული ცენტრის 2011 წლის კვლევის თანახმად, პროფესიული განათლებისა და სწავლების ძირითადი შედეგები არის შრომის ბაზარზე აქტიური მონაწილეობა, უმუშევრობის დაბალი დონე და თანაბარი შესაძლებლობა, ყველამ შეიძინოს პროფესია, რომელიც იქამდე არ ჰქონია.[11]

დღეისათვის განათლების კუთხით ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა. იგი ემყარება რწმენას, რომ განათლება არის ადამიანის უნივერსალური უფლება, რომელიც ურთიერთდამოკიდებულია სხვა ფუნდამენტურ უფლებებზე. მიდგომის მიზანია, უზრუნველყოს ყველა მოწყვლადი ჯგუფის, მათ შორის, ქალებისა და გოგონების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განათლების ხელმისაწვდომობის უფლება.[12]

---

[8]NICHE strategy o Technical and Vocational Education and Training, Netherlands Organization for International Cooperation in Higher Education, 2010, pg.3

[9]NICHE strategy o Technical and Vocational Education and Training, Netherlands Organization for International Cooperation in Higher Education, 2010, pg.3

[10]NICHE strategy o Technical and Vocational Education and Training, Netherlands Organization for International Cooperation in Higher Education, 2010, pg.6

[11] The benefits of vocational education and Training, Research paper, European Centre for the Development of Vocational Training, 2011, pg. 15; file:///C:/Users/Gio/Downloads/5510_en.pdf

[12]Gender analysis in Education, United Nations Girl's Education Initiative, 2012, pg. 5

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1979 წლის 18 დეკემბერს მიიღო კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ,[13] რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალთა თანასწორობის საკითხებს განათლების სფეროში. კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობას ეხება კონვენციის მე-10 მუხლი, რომლის თანახმადაც, მონაწილე სახელმწიფოებმა, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე, უნდა უზრუნველყონ: „პროფესიის ან სპეციალობის არჩევაში ორიენტაციის და ქალაქებისა თუ სოფლების ყველა კატეგორიის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების დიპლომების მიღების ერთნაირი პირობები. ამ თანასწორობის უზრუნველყოფა ხდება სკოლამდელი, ზოგადი, სპეციალური და უმაღლესი ტექნიკური განათლების, აგრეთვე, ყველა სახეობის პროფესიული მომზადების სფეროში".

კონვენციის მეოთხე მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დროებითი სპეციალური ზომების მიღება, რომელთა მიზანი იქნება მამაკაცთა და ქალთა ფაქტობრივი თანასწორობის დაჩქარება.

განათლებაში გენდერული თანასწორობის მიზანი და დანიშნულება განისაზღვრა ქალთა საკითხებთან დაკავშირებულ გაეროს მეორე და მეოთხე კონფერენციებზე.

ქალთა საკითხებთან დაკავშირებით გამართულ მეორე მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც 1980 წელს დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გაიმართა, აღინიშნა, რომ არსებობს უთანასწორობა ქალებისათვის გარანტირებულ უფლებებსა და მათ შესაძლებლობაზე, რეალურად გამოიყენონ ისინი. კონფერენციის მონაწილეებმა განსაზღვრეს სამი ძირითადი საკითხი, რომლებზე მუშაობაც განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენდა. მათ შორის იყო განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა.

ქალთა საკითხებთან დაკავშირებით გამართულ მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე (ბეიჯინგი, 1995 წელი) მიიღეს სამოქმედო დეკლარაცია და პლატფორმა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა 12 სამოქმედო არეალი ქალთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. მათ შორის იყო ქალებისათვის განათლებისა და ტრენინგების ხელმისაწვდომობა.

2000 წელს დაკარში განსაზღვრეს ის ვალდებულებები და მიზნები, რომლებსაც სახელმწიფოებმა უნდა მიაღწიონ 2015 წლისათვის. შემუშავდა 6 ძირითადი მიზანი, რომელთა დანიშნულებაც იყო ყველა ბავშვის, მოზარდისა და მოზრდილი ადამიანის საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილება 2015 წლისათვის. განათლებაში გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ორი ძირითადი მიზანი:

[13]რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 22 სექტემბერს №561-ე დადგენილებით.

მიზანი 3. „უზრუნველყონ, რომ ყველა ახალგაზრდა და მოზრდილი ადამიანის საგანმანათლებლო საჭიროება დაკმაყოფილებული იყოს თანასწორი ხელმისაწვდომობით სწავლასა ... და ცხოვრების სათანადო პირობებზე“.

მიზანი 4. „მიაღწიონ 50%-იან გაუმჯობესებას ახალგაზრდების წიგნიერების კუთხით 2015 წლისათვის, განსაკუთრებით ქალების შემთხვევაში. ასევე, მიღწეული იყოს თანაბარი ხელმისაწვდომობა ძირითად და უწყვეტ განათლებაზე ყველა მოზარდისთვის“.

გენდერული თანასწორობის მიღწევასა და გენდერული როლების სწორად გააზრებაში განსაკუთრებული როლი აკისრია როგორც პროფესიული განათლების მიღების თანაბარ შანსებს ქალისა და მამაკაცისთვის, ისე უშუალოდ განათლების მიღების პროცესში გენდერული თანასწორობის პრინციპების გაცნობას, გენდერული როლების სწორად გააზრებას. აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება მასწავლებელს, რომელსაც ყოველდღიური შეხება აქვს მოსწავლესთან/სტუდენტთან.

2. ადგილობრივი კონტექსტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით, ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში ახორციელებს პროფესიული განათლების რეფორმას.

2013 წლის 26 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №300 პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წლები) დამტკიცების თაობაზე. სტრატეგიას თან ერთვის 2013-2017 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის კონკრეტულ მიზნებს წარმოადგენს: შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს არსებული და მომავალში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის. ამასთან, სტრატეგიის მიზანია მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მათი მომზადება დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

წინამდებარე კვლევის მიზანია, სწორედ პროფესიული განათლების გენდერული თანასწორობის პრინციპის მიხედვით გავაანალიზოთ საქართველოში მიმდინარე პროფესიული განათლების რეფორმა. წინამდებარე დოკუმენტს ვერ ექნება სრულფასოვანი და სიღრმისეული კვლევის პრეტენზია. არამედ იგი წარმოადგენს

ძირითადი ტენდენციების იდენტიფიცირების მცდელობას აღნიშნული მიმართულებით.

II. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით: სამაგიდო კვლევა და სიღრმისეული, პირისპირ ინტერვიუები. კვლევის მიზანს წარმოადგენს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიისა (2013-2020) და სამოქმედო გეგმის (2013-2017) გენდერული ანალიზი.

კვლევის დროს ყურადღება გამახვილდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ქალებისა და კაცების თანაფარდობაზე, პროფესიის არჩევის დროს გენდერული როლების ტრადიციული გაგების გაანალიზებაზე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების კრიტერიუმებსა და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის დროს გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებაზე.

სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარების პროცესში გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ფორმატი. სამაგიდო კვლევის დროს დამუშავდა საერთაშორისო და ქართული კანონმდებლობა, ასევე, პროფესიული განათლების, განათლებაში გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის, გენდერული ანალიზის განხორციელების მოდელებისა და პროფესიულ განათლებაში გენდერული თანასწორობის თემებთან დაკავშირებული კვლევები.

საკვლევი საკითხები მოიცავდა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გენდერული თანასწორობის შესახებ არსებული რეგულაციების შესწავლას, მათ გამოვლენას პრაქტიკაში, პროფესიული განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებულ გამოწვევებს, პროფესიულ განათლებაში ქალთა საჭიროებების გაანალიზებას და პრაქტიკაში მათ რეალურ განხორციელებას.

კვლევის დროს გამოიკითხა ორი რესპონდენტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან. მათი შერჩევის კრიტერიუმი იყო პროფესიული განათლების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის შესახებ ინფორმირებულობა.

კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემების დამუშავება და შესწავლა განხორციელდა კონტენტ ანალიზის მეშვეობით.

III. ტერმინთა განმარტება

გენდერი – სოციალური და შეძენილი განსხვავება ქალისა და კაცის როლებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რაც ისწავლება, განსხვავდება სხვადასხვა კულტურაში და იცვლება დროში (UNESCO 2009).

სქესი – ბიოლოგიური განსხვავება ქალსა და კაცს შორის (UNESCO 2009).

გენდერული თანასწორობა – თანაბარი პირობების, მოპყრობისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა ქალისა და კაცისათვის, რათა მოახდინონ საკუთარი პოტენციალის, ადამიანის უფლებებისა და ღირსების სრული რეალიზება. ასევე, იგი მოიცავს შესაძლებლობას, წვლილი შეიტანოს და მიიღოს სარგებელი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარებისგან (Status of Women Canada, 2007).

გენდერული მეინსტრიმინგი – პროცესი, რომელიც გამოიყენება იმისათვის, რომ უზრუნველყოს ქალისა და მამაკაცის საჭიროებებისა და პრიორიტეტების ინტეგრაცია კანონმდებლობის შემუშავების, პოლიტიკის ფორმირების, მათი იმპლემენტაციის, მონიტორინგისა და შეფასებისას. ეს აძლევს ქალსა და კაცს თანაბარ შესაძლებლობებს და აღმოფხვრის არსებულ უთანასწორობას (Adapted from the United Kingdom's Department for International Development (DFID), 2002).

გენდერული პარიტეტი – ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭების რაოდენობრივი თანასწორობა, რომელიც გამოისახება რიცხვებსა და პროცენტულ მაჩვენებლებში. განათლებაში ეს გულისხმობს, რომ თანაბარი რაოდენობის ბიჭები და გოგონები იღებენ საგანმანათლებლო სერვისებს სხვადასხვა საფეხურზე და სხვადასხვა ფორმით. (Adapted from UNESCO, 2009; UNICEF 2012).

პროფესიული განათლების მასწავლებელი – პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება (საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ").

პროფესიული სტუდენტი – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით (საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ").

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება – პროფესიული კოლეჯი, საზოგადოებრივი კოლეჯი (საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ").

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. პროგრამა აერთიანებს კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს/მოდულებს. მასში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები (საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“).

პროფესიული სტანდარტი – არის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება პროფესიული განათლების საფეხურები, მათი მინიმალური მოცულობა კრედიტებში და თითოეული საფეხურისათვის სავალდებულო ცოდნა, უნარები და ღირებულებები, ასევე, დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები.

IV. ძირითადი მიგნებები

- სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გენდერული თანასწორობა მხოლოდ ღირებულების დონეზეა წარმოდგენილი და მათში არ არის გაწერილი კონკრეტული აქტივობები პროფესიულ განათლებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით.
- სამოქმედო გეგმა მოიცავს სქესის ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკის წარმოების ვალდებულებას, თუმცა, ჯერჯერობით მსგავსი სტატისტიკა არ არის ხელმისაწვდომი.
- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველოს მუშაობის პროცესში არ არის გათვალისწინებული გენდერული თანასწორობის საკითხები.
- კვლევის დროს გამოიკვეთა, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალთა რაოდენობა ფორმალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კვლავ სერიოზული დისბალანსი გვხვდება სხვადასხვა პროფესიაში ქალისა და კაცის თანაფარდობის კუთხით.
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის გამჭვირვალე და თანასწორი მიღების პრინციპები არსებობს, რაც უზრუნველყოფილია ცენტრალიზებული ტესტირების სისტემის არსებობით. აღნიშნული წარმოადგენს განათლების მიღების პროცესში თანასწორობის საფუძველს.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2014 წლიდან ფუნქციონირებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველო,

რომელიც ორგანიზებას უწევს სკოლებში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების კონსულტირებას პროფესიების არჩევის კუთხით, თუმცა, იგი ყურადღებას არ ამახვილებს გენდერულ თანასწორობაზე.

- ქალთა დასაქმებისა და განათლების მიღების მიმართულებით კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება ქალის მიმართ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები.
- გენდერული თანასწორობის საკითხები არ არის გათვალისწინებული სასწავლო პროცესში.
- პროფესიული განათლების მასწავლებლები არ ფლობენ ინფორმაციას გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპების შესახებ, არ ხდება ამ მიმართულებით მათი გადამზადება.
- კვლავ ძლიერია გენდერული როლების სტერეოტიპული გაგება პროფესიების არჩევისა და დასაქმების კუთხით.

V. გენდერული ანალიზის არსი და მნიშვნელობა

გენდერული ანალიზი არის საშუალება კანონმდებლობაში, პოლიტიკის დოკუმენტებსა და პროგრამებში გენდერული მეინსტრიმინგის შესაფასებლად და, შედეგად, გენდერული თანასწორობის მისაღწევად. გენდერული ანალიზი აუცილებელია, რათა გაიზომოს გენდერული ბალანსი და შეფასდეს საშუალებები, რომელთა დახმარებითაც პოლიტიკის დოკუმენტი ან პროგრამა გავლენას ახდენს ქალებსა და კაცებზე... ფაქტობრივად, გენდერული ანალიზის განუხორციელებლობა პოლიტიკის დოკუმენტების ან პროგრამების შემუშავების პროცესში ზრდის გენდერულ უთანასწორობას, ან ხდება მომავალში გაზრდილი გენდერული უთანასწორობების საფუძველი.[14]

გენდერული ანალიზი აუცილებელი ელემენტია სტრატეგიული დაგეგმვისა და პროექტის დიზაინის შემუშავების პროცესში და წარმოადგენს ძირითად საფუძველს, რათა მიღწეული იყოს გენდერული ინტეგრაცია. გენდერული ანალიზი იკვლევს ქალისა და კაცის განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთდამოკიდებულ როლებს და ურთიერთობას სქესთა შორის. იგი ასევე მოიცავს ქალისა და კაცის უფლებების, შესაძლებლობების შეფასებას, ასევე, რესურსებზე ხელმისაწვდომობასა და კონტროლს. გენდერული ანალიზი განსაზღვრავს უთანასწორობას, აანალიზებს, რატომ არსებობს ეს უთანასწორობა, ადგენს, არის თუ არა ისინი საზიანო და, თუ ასეა, განიხილავს, როგორ შეიძლება მათი გამოსწორება.[15]

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განათლების სფეროში სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებების კომბინაციას. ეს კომბინაცია ქმნის ეფექტურ სტრატეგიებს, რათა მიღწეული იყოს

[14]Gender analysis in Education, United Nations Girl's Education Initiative, 2012, pg. 5
[15] Guide to Gender Integration and Analysis, USAID, 2010, pg.5

გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ქალი მასწავლებლების რაოდენობის ზრდა, რაც გულისხმობს კვოტების სისტემის დაწესებას იქ, სადაც ამის საჭიროება არსებობს.
- სასწავლო გეგმების რევიზია მამრობითი სქესის ნეგატიური ზეგავლენის აღმოსაფხვრელად ქალებისა და გოგონების მიმართ მგრძნობელობის გაზრდის მიზნით, რათა უპასუხოს მათი ცხოვრების წესს, არსებულ გამოწვევებსა და გენდერულ ურთიერთობებში დამკვიდრებულ იერარქიულ ტრადიციებს.
- მშობლების გააქტიურება, რათა ესმოდეთ გოგონების განათლების მნიშვნელობა.
- მასწავლებელთა ტრენინგი გენდერული თანასწორობის შესახებ.[16]

VI. კვლევის დროს გამოყენებული გენდერული ანალიზის ჩარჩო

ოთხი ძირითადი ფაქტორი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს გენდერული თანასწორობის გაზომვა:[17]

თანასწორობა განათლების მისაწვდომობაში

თანასწორობა განათლების მისაწვდომობაში გულისხმობს გოგონებისა და ბიჭების თანაბარ შესაძლებლობებს, ხელი მიუწვდებოდეთ ფორმალურ, არაფორმალურ ან საბაზისო განათლების ალტერნატიულ საშუალებებზე. რეალური დასწრება – და არა ჩარიცხვა – არის საუკეთესო ინდიკატორი, რათა მიღწეული იყოს თანასწორობა განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით.

თანასწორობა სასწავლო პროცესში

თანასწორობა სასწავლო პროცესში გულისხმობს, რომ გოგონები და ბიჭები იღებენ თანაბარ მოპყრობას და დამოკიდებულებას და აქვთ სწავლის თანაბარი შესაძლებლობები. ეს ნიშნავს, რომ გოგონები და ბიჭები იყენებენ საერთო სასწავლო გეგმას, თუმცა, სხვადასხვა კურსი შესაძლებელია გოგონებსა და ბიჭებთან სხვადასხვაგვარად ისწავლებოდეს, არსებული განსხვავებული სასწავლო სტილის შესაბამისად. თანასწორობა სასწავლო პროცესში ასევე გულისხმობს იმას, რომ ყველა მასწავლებელი უნდა იყენებდეს ისეთ სასწავლო მეთოდოლოგიასა და

[16]A Human Righrs-based approach to Education for All, a framework for the realization of children's right to education and rights within the education, United Nations Educational Scientific and Cultural Organization, UNICEF, Pg. 67
http://unesdoc.unesco.org/images/0015/001548/154861E.pdf
[17]Education from a gender equality perspective, USAID;
http://www.ungei.org/resources/files/Education_from_a_Gender_Equality_Perspective.pdf

რესურსებს, რომლებიც თავისუფალია გენდერული სტერეოტიპებისაგან. ეს ნიშნავს, რომ ბიჭებსა და გოგონებს უნდა ჰქონდეთ მხარდაჭერა, რათა თავისუფლად ისწავლონ, წარმოაჩინონ და განავითარონ უნარები ყველა სახის აკადემიური და კლასგარეშე საქმიანობის საშუალებით.

თანასწორობა განათლების შედეგების მიხედვით

თანასწორობა განათლების შედეგების მიხედვით გულისხმობს იმას, რომ გოგონები და ბიჭები სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით წარმატების მისაღწევად და ეს მიღწევები დაფუძნებულია მათ ინდივიდუალურ ტალანტსა და უნარებზე. იმისათვის, რომ მიღწეული იყოს თანაბარი შესაძლებლობები, სკოლაში სიარულის ხანგრძლივობა, აკადემიური კვალიფიკაცია და დიპლომის მიღება არ უნდა განსხვავდებოდეს სქესის ნიშნით. ინდივიდუალური წარმატებების შეფასების მექანიზმი ასევე თავისუფალი უნდა იყოს გენდერული მიკერძოებისგან.

2006 წელს განხორციელებულმა პროგრამამ – „საერთაშორისო სტუდენტების შეფასება" (PISA) – გამოავლინა სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია გენდერული თანასწორობის მიღწევასთან საგანმანათლებლო პროცესში. ქულები მათემატიკაში მიანიშნებდა, რომ დამოკიდებულებითი განსხვავება გოგონებსა და ბიჭებს შორის იყო უფრო მეტად გამოხატული, ვიდრე განსხვავება შესრულებას შორის. გოგონები აცხადებდნენ, რომ ჰქონდათ უფრო ნაკლები ინტერესი მათემატიკის მიმართ, ნაკლები მხარდაჭერა როგორც მათემატიკის შემსწავლელებს, ნაკლები მოტივაცია, მომავალში გამოეყენებინათ მათემატიკა და ბევრად უფრო დიდი შფოთვა, როდესაც სწავლობდნენ მათემატიკას.

ბიჭების შედეგები იყო სულ ოდნავ უკეთესი გოგოებთან შედარებით, მაგრამ ისინი იყვნენ ბევრად უფრო მეტად დარწმუნებულნი და ნაკლებად შფოთავდნენ მათემატიკის სწავლისას.

სკოლის მოსწავლეების დამოკიდებულების ნიმუშები მაქსიმალურად ასახავდა მიმდინარე სასწავლო პროცესს, ატმოსფეროს და კარიერულ არჩევანს. აღნიშნულმა შედეგებმა აჩვენა საკლასო გარემოს დინამიკის გაგების აუცილებლობა, იმის გარკვევა, რა ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები გადაეცემათ მოსწავლეებს და როგორ შეიძლება ამან განაპირობოს მომავალში მათ მიერ პროფესიის არჩევა.

თანასწორობა შედეგების მიხედვით

თანასწორობას, შედეგების მიხედვით, ადგილი აქვს, როცა ქალისა და კაცის სტატუსი, მათი მხრიდან რესურსებზე წვდომის საშუალება და შესაძლებლობა, ჩაერთონ, წვლილი შეიტანონ და მიიღონ სარგებელი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური აქტიურობიდან, არის თანაბარი.

აღნიშნულის მიღწევა გულისხმობს, რომ კარიერული შესაძლებლობები, დრო, რომელიც საჭიროა დასაქმებისთვის სრული განათლების მიღების შემდეგ და

თანაბარი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ქალისა და კაცის შემოსავლები, არის თანაბარი.

VII. თემატური კვლევა – პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020) და სამოქმედო გეგმა (2013-2017)

1. საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020) სტრუქტურა

სტრატეგია შედგება ორი ძირითადი თავისგან:

1. სტრატეგიის მიზნები და სტრატეგიის ჩარჩო;

2. პროფესიული განათლების არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის გზები.

პირველ თავში გაანალიზებულია სტრატეგიის მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და პრიორიტეტები, ხოლო მეორე თავში მოცემულია სტრატეგიის შვიდი ძირითადი მიზანი, რომელთა მიღწევაც იგეგმება 2020 წლისათვის. სტრატეგიას მოჰყვება დანართები: პროფესიული განათლების გარემო, პროფესიული განათლების ძირითადი გამოწვევები, სტრატეგიის დანერგვის ფინანსური ხარჯები, სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა, სტრატეგიის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება, სტრატეგიის განხორციელების შესახებ კომუნიკაცია და ინფორმირების ღონისძიებები, სტრატეგიის დანერგვის რისკის შემცირების ღონისძიებები.

2. სტრატეგიის განხორციელებით მისაღწევი ძირითადი შედეგები

ძირითადი შვიდი შედეგი, რომელთა მიღწევაც სტრატეგიით 2020 წლისათვის პროფესიული განათლების სფეროში იგეგმება:

1. სოციალური პარტნიორები და სამოქალაქო საზოგადოება მონაწილეობენ პროფესიული განათლების სისტემის მართვაში, პოლიტიკის შემუშავებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მარეგულირებელი, მასტიმულირებელი, ფინანსურ-ტექნიკური მექანიზმების განსაზღვრა და განხორციელება.

2. ერთიანი, მოქნილი ქსელი აერთიანებს ეფექტური დაფინანსებისა და მართვის მქონე, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ პროფესიული განათლების პროვაიდერებს. ქსელი ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის მისი ასაკის, სქესის, ეთნიკური თუ სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების, საცხოვრებელი ადგილის, მენტალური თუ ფიზიკური შესაძლებლობების მიუხედავად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს მზარდი და ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების (არსებული და სამომავლო) შესაბამისია.

4. პროფესიული განათლების მასწავლებლები მომზადებულნი არიან თანამედროვე მიდგომებისა და სფეროს უახლესი მიღწევების შესაბამისად. მათ კომპეტენციის ამაღლებისა და უწყვეტი პროფესიული განათლების შესაძლებლობა აქვთ, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების კვალიფიციურ დონეზე მომზადებას.

5. ჩამოყალიბებულია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებასა ან საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ.

6. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები მომზადებულნი არიან დასაქმებისათვის მათთვის საინტერესო, ღირებულ და, სადაც შესაძლებელია, მაღალანაზღაურებად პროფესიებში, კარიერის შემდგომი განვითარების და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

7. პროფესიული განათლება მიმზიდველ და რეალურ საგანმანათლებლო ალტერნატივას წარმოადგენს საზოგადოების ფართო ფენებისათვის. ახალგაზრდებისათვის ის წარმოადგენს სკოლის შემდგომი განათლების მიღების ალტერნატივას, ზრდასრულებისათვის – კარიერის განვითარების მნიშვნელოვან მექანიზმს, ხოლო მათთვის, ვინც შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიის შეცვლას საჭიროებს – ახალ სპეციალობებში გადამზადების საშუალებას.

3. სტრატეგიაში გენდერული თანასწორობის შესახებ არსებული ჩანაწერები

ა) საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ სტრატეგია მოიცავს ინკლუზიური განათლების, ადამიანის და ბავშვთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპებს. სტრატეგიის მიხედვით, საზოგადოების ყველა ფენის უფლებაა, მიიღოს პროფესიული განათლება, მიუხედავად მისი ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა თუ საცხოვრებელი ადგილისა.

ბ) სტრატეგიის პირველ თავში, სადაც მოცემულია სტრატეგიის მიზნები და სტრატეგიული ჩარჩო, მოსალოდნელი შედეგების ნაწილში, კერძოდ, მის მეორე პუნქტში მოცემულია ჩანაწერი: „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთიანი, მოქნილი ქსელი აერთიანებს ეფექტური დაფინანსებისა და მართვის მქონე, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ქსელი ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის მისი ასაკის, სქესის, ეთნიკური თუ სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების, საცხოვრებელი ადგილის, მენტალური თუ ფიზიკური შესაძლებლობის მიუხედავად”.

გ) შემდეგ 2-ში განსაზღვრულია აქტივობა 2.4. „პროფესიული განათლების დივერსიფიცირებული სისტემის შექმნა და ყველა მოქალაქისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელმისაწვდომობა", რომლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „საგანმანათლებლო დაწესებულებაში გენდერული ბალანსისა და მოწყვლადი ჯგუფების თანასწორობის უზრუნველყოფა".

დ) შემდეგ 2-ში განსაზღვრულია აქტივობა 2.4. „პროფესიული განათლების დივერსიფიცირებული სისტემის შექმნა და ყველა მოქალაქისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელმისაწვდომობა", რომლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „სისტემის ხელმისაწვდომობის გაზრდა ყველა მოქალაქისათვის, მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ეროვნების, სქესის, ფიზიკური და მენტალური შესაძლებლობის მიუხედავად".

4. სამოქმედო გეგმაში გენდერული თანასწორობის შესახებ არსებული ჩანაწერები

ა) სამოქმედო გეგმის 2.4 პუნქტში განსაზღვრულია: „პროფესიული განათლების დივერსიფიცირებული სისტემის შექმნა და ყველა მოქალაქისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელმისაწვდომობა.

აღნიშნული მიზნის შეფასების ინდიკატორებს შორის მოცემულია:

- ახალი სტუდენტების ჩარიცხვის რაოდენობა (მაჩვენებლების მიხედვით: ასაკი, სქესი, განათლება – საფეხური, რომლიდანაც ირიცხება, სტატუსი (შშმპ, სსმპ), სხვა მაჩვენებლები: მოწყვლადი ჯგუფი, კერძო და საგანმანათლებლო დაწესებულებები).
- ახალი სტუდენტების პროცენტი (%) აპლიკანტებთან მიმართებით.
- სტუდენტების რაოდენობა (%), რომლებმაც დაასრულეს სწავლა და მიიღეს კვალიფიკაცია (მაჩვენებლების მიხედვით: ასაკი, სქესი, განათლება – საფეხური, რომლიდანაც ირიცხება, სტატუსი (შშმპ, სსმპ), სხვა მაჩვენებლები: მოწყვლადი ჯგუფი, კერძო და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებები).
- პროფესიული გადამზადების (მოკლევადიანი) კურსებზე სტუდენტების რაოდენობა (მაჩვენებლების მიხედვით: ასაკი, სქესი, განათლება – საფეხური, რომლიდანაც ირიცხება, სტატუსი (შშმპ, სსმპ), სხვა მაჩვენებლები: მოწყვლადი ჯგუფი, კერძო და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებები).

აღნიშნული მიზანი, სამოქმედო გეგმის მიხედვით, მიიღწევა შემდეგნაირად – „საგანმანათლებლო დაწესებულებებში კონკრეტული მექანიზმების განვითარება გენდერული ბალანსის შესანარჩუნებლად...." მისი შესრულება, სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებას წარმოადგენს, რაც 2014 წელს უნდა განხორციელებულიყო.

თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის თანამშრომელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სტატისტიკა, რომელიც დიფერენცირებული იქნება სქესის ნიშნით, არ არსებობს და საჭიროებს დამუშავებას.

ბ) სამოქმედო გეგმის მეოთხე პუნქტი ეხება მასწავლებელთა გადამზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. აღნიშნული მიზნის მიღწევის ინდიკატორები შემდეგნაირად არის წარმოდგენილი სამოქმედო გეგმაში:

- მასწავლებელთა რაოდენობა (მაჩვენებლების მიხედვით: ასაკი, სქესი, განათლება, მუშაობის გამოცდილება).
- მასწავლებელთა წილი, რომლებიც გადიან ტრენინგს (მაჩვენებლების მიხედვით: ასაკი, სქესი).
- სისტემის დონეზე მომზადებულ მასწავლებელთა რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში (მაჩვენებლების მიხედვით: ასაკი, სქესი).

სამოქმედო გეგმის მე-4 პუნქტის მე-11 ქვეპუნქტის მიხედვით, 2013 წლისათვის უნდა მომხდარიყო „პროფესიულ მასწავლებელთა მონაცემთა ბაზის შექმნა ყველა სახელმწიფო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის", რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (EMIS). 2014 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, მე-12 ქვეპუნქტის მიხედვით, უნდა განხორციელდეს „პროფესიულ მასწავლებელთა მონაცემის ბაზის განახლება".

ისევე, როგორც პროფესიული განათლების სტუდენტებთან მიმართებით, აღნიშნულ შემთხვევაშიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ აქვს გამზადებული სტატისტიკა და მონაცემთა ბაზები პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესახებ.

გ) სამოქმედო გეგმის 5.2 პუნქტი შეეხება პროფესიული კვალიფიკაციის განვითარების, განახლებისა და მინიჭების ხარისხის უზრუნველყოფას ევროპული გამოცდილების შესაბამისად. აღნიშნული აქტივობის გაზომვის ერთ-ერთ ინდიკატორად მოცემულია: „სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც პროფესიულ სასწავლებელში შევიდნენ წინმსწრები განათლების აღიარებით პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობასთან შედარებით (მაჩვენებლები: პროგრამა, რეგიონი, სქესი, ასაკი).

VIII. ანალიზი

საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020) და სამოქმედო გეგმის (2013-2017) შესწავლისა და მასში გენდერული თანასწორობის

ასპექტების გამოყოფის შემდეგ, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ როგორც სტრატეგიაში, ისე სამოქმედო გეგმაში გენდერული თანასწორობა მხოლოდ დეკლარირებულადაა გადმოცემული და არ არის კონკრეტული აქტივობები განსაზღვრული პროფესიულ განათლებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით. რამდენიმე ჩანაწერი, რომლებიც ითვალისწინებს სქესის ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკის წარმოებას, ჯერჯერობით არ არის შესრულებული. განათლების სამინისტროს მიერ 2014 წელს გამოქვეყნდა 2012-2013 სასწავლო წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა.[18] მართალია, მასში გამოკითხულ რესპონდენტთა მონაცემები დიფერენცირებულია სქესის ნიშნით, ასევე მოცემულია დასაქმებულ ქალთა და კაცთა მაჩვენებლები, მაგრამ აღნიშნული არ არის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით დასახული მიზნების შესრულების ამსახველი, არ არის მოცემული შედეგების ინტერპრეტაცია.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გენდერული ანალიზის დროს სამაგიდო კვლევისა და სიღრმისეული ინტერვიუებიდან მიღებული შედეგები გაანალიზებულია ოთხი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით: თანასწორობა განათლების მისაწვდომობაში, თანასწორობა სასწავლო პროცესში, თანასწორობა განათლების შედეგების მიხედვით და თანასწორობა გარე შედეგების მიხედვით.

1. თანასწორობა განათლების მისაწვდომობაში

განათლების მისაწვდომობაში თანასწორობის ნაწილში კვლევის დროს გამოიკვეთა და შეფასდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ქალებისა და კაცების თანაფარდობა, მიღების კრიტერიუმები, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის წერის დროს გენდერული თანასწორობის არსებული სიტუაციისა და გამოწვევების შესახებ კვლევის ჩატარების საჭიროება, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის არსებულ სისტემაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება და ტრადიციების გავლენა პროფესიების არჩევის დროს. შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:

1.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ქალებისა და კაცების თანაფარდობა

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კვლევის დროს გამოიკვეთა, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალთა რაოდენობა ფორმალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. თუმცა, კვლავ გხვდება სერიოზული დისბალანსი სხვადასხვა პროფესიაში ქალისა და კაცის თანაფარდობის კუთხით:

„მიღების მაჩვენებელში წინა წელს იყო 43%, წელს არის 47%, ანუ მზარდი ტენდენციაა. შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ბალანსი, მაგრამ ასიმეტრია გვაქვს ცალკეული პროგრამების ჭრილში. არის პროგრამები, რომლებიც საკმაოდ

[18] http://www.mes.gov.ge/uploads/News/kursdamtavrebulta%20kvleva%202012_2013.pdf

დაუბალანსებელია სქესის თვალსაზრისით. არის პროგრამები, სადაც ძირითადად ქალები შედიან, ასევე, პროგრამები – სადაც ძირითადად მამაკაცები არიან. გვაქვს აგრეთვე შერეული პროგრამები, მაგრამ, საერთო ჯამში, ეს ყველაფერი გენდერულ ბალანსს ქმნის" — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომელი.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ირიბად, მაგრამ არსებობს მითითება, როდესაც საუბარია სისტემის ხელმისაწვდომობის გაზრდაზე ყველა მოქალაქისათვის, სქესის მიუხედავად და, ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებაში გენდერული ბალანსისა და მოწყვლადი ჯგუფების თანასწორობის უზრუნველყოფაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოთხოვნილი სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, რომელიც მოიცავდა 2012-2014 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა შესახებ მონაცემებს, გამოიკვეთა, რომ 2012-2014 წლებში შეინიშნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის ზრდა.

2012 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სულ სწავლობდა 5491 სტუდენტი, 2013 წელს – 8889, ხოლო 2014 წელს – 10076. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობის ზრდის მიუხედავად, ქალ და კაც სტუდენტთა რაოდენობას შორის არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა, რომელიც ყოველწლიურად იზრდება:

ცხრილი 1: 2012-2014 წლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა

წელი	**ქალი**	**კაცი**	**სხვაობა**
2012	2106	3385	1279
2013	3763	5126	1363
2014	4254	5822	1568

მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ საკმაოდ დიდია იმ საგანმანათლებლო პროგრამების სია, სადაც მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლები სწავლობენ. მაგალითად, 2012 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამათა 46%-ში მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, 2013 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 37%-ს, ხოლო 2014 წელს – 29%-ს:

ცხრილი 2: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები

წელი	**პროფესიული**	**პროფესიული**	**პროფესიული**	**პროფესიული**

	საგანმანათლებლო პროგრამების სრული რაოდენობა	**საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც მხოლოდ ქალები არიან წარმოდგენილნი**	**საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც მხოლოდ კაცები არიან წარმოდგენილნი**	**საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ქალები და კაცები არიან წარმოდგენილნი**
2012	82	7	30	45
2013	134	9	41	84
2014	127	9	28	90

აღნიშნული მაჩვენებლები გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ მიუხედავად გენდერული როლების ტრადიციული გაგების ძლიერი სურათისა, რაც სტატისტიკური შედეგებიდან იკვეთება, გარკვეული პროგრესი შეინიშნება ამ მიმართულებით. 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, 9%-ით არის შემცირებული იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მაჩვენებელი, რომლებშიც მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლები მონაწილეობენ, ხოლო 2014 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 17%-ით არის გაუმჯობესებული.

თუმცა, იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტატისტიკური მონაცემების ანალიზის დროს, რომლებშიც წარმოდგენილნი არიან ქალებიც და კაცებიც, იკვეთება, რომ მათი უმრავლესობა კვლავ იმყოფება გენდერული როლების ტრადიციული გაგების ძლიერი გავლენის ქვეშ, რაც უფრო მეტად იგრძნობა კაცების შემთხვევაში. მაგალითად, 2012 წელს სულ იყო 82 საგანმანათლებლო პროგრამა, აქედან 26 შემთხვევაში კაცების პროცენტული მაჩვენებელი იყო 50%-ზე მეტი (32%), ხოლო ქალები 22 შემთხვევაში იყვნენ წარმოდგენილნი 50%-ზე მეტი მაჩვენებლით (27%).

2013 წელს ანალოგიური მაჩვენებელი კაცების შემთხვევაში შეადგენდა 44 საგანმანათლებლო პროგრამას (33%), ხოლო ქალების შემთხვევაში – 33-ს (25%). 2014 წელს კაცები 46 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იყვნენ წარმოდგენილნი 50%-ზე მეტი მაჩვენებლით (36%), ხოლო ქალები 37 შემთხვევაში (29%).

2012 წელს ქალებისა და კაცების თანაბარი რაოდენობა წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (ყველის მწარმოებელი).

2013 წელს ქალებისა და კაცების თანაბარი რაოდენობა დაფიქსირდა შემდეგ 4 პროგრამაზე: ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი, ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერალი, პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი, სომელიე, ჯაზური მუსიკის შემსრულებელი.

2014 წელს ქალები და კაცები თანაბარი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი შემდეგ ორ პროგრამაზე: მძერწავი და შემსრულებელ-ილუსტრატორი.

მიუხედავად იმისა, რომ 2012-2014 წლებში იყო ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც დომინანტურად მხოლოდ კაცები ან ქალები იყვნენ წარმოდგენილნი, გარკვეული პროგრესი ამ მიმართულებით მაინც შეინიშნება.

ცხრილი 3: კაცების მიერ დომინირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც გენდერული როლების გაგების კუთხით მცირე პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**2012 კაცი**	**2012 ქალი**	**2013 კაცი**	**2013 ქალი**	**2014 კაცი**	**2014 ქალი**
ავტომობილის დიაგნოსტიკოსი	100%		100%		99%	1%
ბარმენი	**100%**		**92%**	**8%**	**85%**	**15%**
ზეინკალ-სანტექნიკოსი	100%		98%	2%	100%	
კალატოზი	100%		100%		95%	5%
კრიმინალისტი	**100%**		**57%**	**43%**	**46%**	**54%**
მეტყევე	100%		100%		90%	10%
მეფილე მომპირკეთებელი	100%		100%		99%	1%
სამაცივრე მოწყობილობების ტექნიკოსი	100%		100%		98%	2%
სამთო ელექტრომექანიკოსი	100%		100%		98%	2%
სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტი	**100%**		**67%**	**23%**	**100%**	
აგრარული ტექნიკის მექანიკოსი			100%		95%	5%
ელექტრიკოსი			100%		99%	1%
ლითონების მხატვრული დამუშავების სპეციალისტი			100%		70%	30%
მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი			100%		98%	2%

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი			100%		97%	3%
სავალი ნაწილის ტექნიკოსი	100%		100%		99%	1%
ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი	98%	2%	100%		100%	
ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემის მემონტაჟე	97%	3%	100%		100%	
თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტი	99%	1%	100%		100%	
კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის სპეციალისტი			89%	11%	100%	
მძიმე სამშენებლო ტექნიკის სპეციალისტი	99%	1%	100%		100%	
სავაგონე მეურნეობის მექანიკოსი			95%	5%	100%	

ცხრილი 4: ქალების მიერ დომინირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც გენდერული როლების გაგების კუთხით შეინიშნება პოზიტიური ცვლილებები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**2012 ქალი**	**2012 კაცი**	**2013 ქალი**	**2013 კაცი**	**2014 ქალი**	**2014 კაცი**
დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	100%		98%	2%	97%	3%
ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი	100%		95%	5%	93%	7%
ფეხსაცმლის, ტყავის	100%		79%	21%	93%	7%

ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტი						
მოლარე			100%		97%	3%
სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი	92%	8%	100%		100%	
ფარმაცევტის თანაშემწე			100%		99%	1%
ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი			98%	2%	100%	
ღონისძიებათა მომწყობი	91%	9%	89%	11%	100%	

2012-20014 წლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სულ ჩაირიცხა 10123 ქალი და 14333 კაცი. ქალების რაოდენობა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებზეც სწავლობდნენ კაცებიც და ქალებიც, შეადგენს 8926 ადამიანს (88%), ხოლო დანარჩენი 12% (1197 ქალი) პროფესიულ განათლებას იღებდა ისეთ სპეციალობებზე, რომლებზეც მხოლოდ ქალები იყვნენ წარმოდგენილნი.

განსხვავებული სურათია ამ მხრივ კაცების შემთხვევაში. იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული კაცების რაოდენობა, სადაც მხოლოდ კაცები სწავლობენ, მნიშვნელოვნად აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს. კერძოდ, კაცების 23%-მა 2012-2014 წლებში არჩევანი გააკეთა ისეთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც მხოლოდ კაცები იყვნენ წარმოდგენილნი.

1.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების პროცედურები

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გენდერული თანასწორობის მიღწევისკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯად უნდა შეფასდეს საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების პროცედურები.

„პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პროფესიულ პროგრამებზე მოხვედრის წინაპირობაა ტესტირების ჩაბარება. ტესტირების ჩატარების წესი და პირობები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის №152/ნ ბრძანებით „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე", რომლის მესამე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ

ტესტირების ჩატარების მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

აღნიშნულ საკითხს, როგორც გენდერული თანასწორობის ხელშემწყობ ფაქტორს, ხაზი გაუსვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომელმა:

„დღეისათვის არის ყველასთვის თანაბარი და გამჭვირვალე ერთიანი, ცენტრალიზებული ჩარიცხვის წესი, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს ამ თანასწორობის საფრთხეში ჩაგდების რისკები. დღევანდელი შეცვლილი მიდგომა, რომელიც გულისხმობს ერთიან რეგისტრაციას, რა დროსაც ყველა ერთად მიდის რეგისტრაციისთვის კოლეჯში და იღებენ კონსულტაციებს პროგრამების შესახებ. ასევე, შემიძლია ხაზი გავუსვა, რომ ამ კონსულტაციის დროს არ ხდება მათთვის სეგმენტირებულად, გენდერიდან გამომდინარე, გარკვეული პროგრამების შეთავაზება. არამედ მათ, ჩვეულებრივ, ყველა პროგრამას სთავაზობენ. სტუდენტებს, აპლიკანტებს ეძლევათ შესაძლებლობა, აირჩიონ მათთვის სასურველი ნებისმიერი პროგრამა და არავინ ცდილობს მათ არჩევანზე გავლენის მოხდენას იმ საბაბით, თითქოს კონკრეტული პროგრამა უფრო გოგოს, ან უფრო ბიჭის, შესაფერისია.“

1.3. საქართველოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა

საქართველოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმაში[19] მოცემულია ჩანაწერი, რომელიც პროფესიულ განათლებაში გენდერული თანასწორობის მიღწევას ისახავს მიზნად.

სამოქმედო გეგმის 2.3. ამოცანას წარმოადგენს ტექნიკური მიმართულებებით (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა) გენდერული ბალანსის გაუმჯობესების ხელშეწყობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც მიღწეული უნდა იყოს ტექნიკური მიმართულებების პროფესიული პროგრამების გენდერული ანალიზის ჩატარებითა და რეკომენდაციების მომზადებით. მისი შესრულება, სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრეროგატივაა, რაც 2014 წელს უნდა განეხორციელებინა.

თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომელმა კვლევის დროს ჩატარებული ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ინფორმაციას არ ფლობს.

[19] დამტკიცებულია საქართველოს მიერ 2014 წლის 24 იანვარს (№1945-რს).

1.4. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის არსებულ სისტემაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება

2014 წლის 26 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო №721 დადგენილება – „საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფცია და მისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმა", რომელიც აქცენტს აკეთებს სკოლებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამაზე.

აღნიშნული პროგრამა ვრცელდება საბაზო და საშუალო საფეხურის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებზე. მის შემოღებას მოჰყვა ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებების განხორციელება. მისი მიზანია, დაეხმაროს IX-XI კლასის მოსწავლეებს, საკუთარი მიდრეკილებების, ინტერესების, შესაძლებლობების, ღირებულებების თუ განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით, მაქსიმალურად სწორად აირჩიონ პროფესია.

ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში შეიქმნა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველო, შეირჩა ასი პროფორიენტაციის სპეციალისტი, რომლებიც სპეციალური გადასამზადებელი კურსის გავლის შემდეგ გადანაწილდნენ თბილისისა და რეგიონების რესურსცენტრებში. ამასთანავე, უშუალოდ სკოლებში, მე-9, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებთან პროფორიენტაციულ მომსახურებას ეწევიან კლასის დამრიგებლები, რომლებმაც ასევე გაიარეს მოსამზადებელი ტრენინგ-კურსი. პროფორიენტაციის სპეციალისტების გარდა შეირჩა და გადამზადდა 5 კოორდინატორი, რომელთა მოვალეობას წარმოადგენს მეთოდოლოგიის შემუშავება, პროექტის კოორდინირება, ტრენინგ-მოდულის შექმნა და ტრენინგის ჩატარება, საინფორმაციო ბაზების უზრუნველყოფა და ა.შ. შეიქმნა ეროვნული საგანმანათლებლო გეგმით გათვალისწინებული პროფორიენტაციის მოდული, რომლის მიხედვითაც, თვეში ერთხელ ეწყობა საგაკვეთილო საათი – კლასის დამრიგებელი მე-9, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებს აწოდებს ინფორმაციას პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საჭიროებების, საგანმანათლებლო და პროფესიული შესაძლებლობების შესახებ:

„ეს ადამიანები აწოდებენ ინფორმაციას პროფესიების შესახებ, აწყობენ ვიზიტებს დამსაქმებლებთან, კოლეჯებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში და პირიქით – ორგანიზებას უწევენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, ექსპერტების და დამსაქმებლების წარმომადგენელთა ვიზიტებს და მათ შეხვედრებს მოსწავლეებთან. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, დასვან შეკითხვები, მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია ამა თუ იმ პროფესიასთან დაკავშირებით, საუბრობენ პრობლემებზე, სირთულეებსა და დადებით მხარეებზე. ეს არ არის მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს პროფესიების რომანტიკულ ჭრილში წარმოჩენას. პირიქით, ჩვენ გვსურს, დავეხმაროთ მოსწავლეებს, მიიღონ ინფორმირებული

გადაწყვეტილება, ამასთან, ეს გადაწყვეტილება იყოს რეალობასთან ახლოს და მაქსიმალურად თავისუფალი სხვადასხვა გარე გავლენისგან. მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ ინფორმაცია იმ გარემოს შესახებ, რაც ელოდებათ ამა თუ იმ პროფესიის არჩევისას, ასევე, იმ საგანმანათლებლო და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, რაც უკავშირდება ამ პროფესიის არჩევას," – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომელი.

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველოს თანამშრომლის თქმით, ამ პროცესში ადგილი არ აქვს სქესის ნიშნით დაყოფას და მათთან განცალკევებულ მუშაობას, არამედ, ინფორმაცია ყველას თანაბრად მიეწოდება. მისი თქმით, გოგონები და ბიჭები ერთნაირად არიან დაინტერესებულნი გასვლითი ღონისძიებებით ამა თუ იმ სამუშაო ადგილზე, თუმცა, პოლიციაში ვიზიტის დროს ბიჭები უფრო აქტიურობენ.

1.5. ტრადიციების გავლენა პროფესიების არჩევის დროს

განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით თანასწორობის ნაწილში განსაკუთრებულ პრობლემად დასახელდა ტრადიციები და ქალის მიმართ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები.

„ჩემთვის, სიმართლე გითხრათ, ყველაზე მთავარი გამოწვევა, რაც ქვეყანაში რჩება, არის ის, რომ რეგიონებში ჯერ კიდევ არსებობს სტერეოტიპი, რომ ქალმა არ უნდა იმუშაოს, ქალმა არ უნდა მიიღოს განათლება და ა.შ. და ასეთი მიდგომის ჩანერგვა ხდება ადრეული ასაკიდან. ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია, ამას ვებრძოლოთ. ამიტომ მნიშვნელოვანია, პროფესიული კონსულტირების საკითხები ჩამოვიტანოთ ადრეულ ასაკში, დავიწყოთ ქვედა ასაკიდან," — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომელი.

2. თანასწორობა სასწავლო პროცესში

სასწავლო პროცესში თანასწორობის მიმართულებით მოხდა შემდეგი საკითხების შეფასება: მასწავლებელთა დამოკიდებულება და როლი გენდერული თანასწორობის კუთხით და არსებული გამოწვევები, სასწავლო გეგმები/რესურსები.

2.1. სერვისები, სასწავლო გარემო და სასწავლო მასალები

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ შეიცავს კონკრეტულ ჩანაწერს, რომელიც შეეხება გენდერულად მგრძნობიარე სასწავლო გარემოს, სერვისებსა და მასალებს. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, არ განხორციელებულა რაიმე სახის კვლევა, რასაც ადასტურებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომელი კვლევის პროცესში ჩატარებული ინტერვიუს დროს. მსგავსი კვლევებისა და შემდეგში გენდერულად მგრძნობიარე სასწავლო მასალების შექმნის განსაკუთრებული საჭიროება

დასტურდება საქართველოში 2012 წელს სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზის შედეგების მიხედვით:

„საზოგადოებრივი მეცნიერებების სახელმძღვანელოს როგორც რაოდენობრივმა, ისე თვისობრივმა ანალიზმა გამოავლინა დისკრიმინაცია სქესთა რეპრეზენტაციის დროს. თვისობრივი/შინაარსობრივი ანალიზი ადასტურებს საზოგადოებრივი მეცნიერებების საკმაოდ ძლიერი გენდერული სტერეოტიპების შემცველობას. საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დროს, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ისეთი თემების გავლისას, როგორიცაა დემოკრატია, თანასწორობა, დისკრიმინაცია და ადამიანის უფლებები, არასაკმარისად ან საერთოდ არ არის გამახვილებული ყურადღება გენდერულ თანასწორობაზე, სქესთა თანასწორი წარმომადგენლობის მნიშვნელობასა და შესაძლებლობაზე, ქალთა უფლებებზე."[20]

იმის გასარკვევად, შეიცავს თუ არა პროფესიული განათლების სტანდარტები გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმაციას, შესწავლილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროფესიული სტანდარტები. სამწუხაროდ, არც ერთი პროფესიული სტანდარტი არ შეიცავს გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმაციას.[21]

2.2. მასწავლებლები

სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული მასწავლებლების/ლექტორების როლი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროცესში. არ რეგულირდება ამ მიმართულებით მათი გადამზადების საკითხები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველოს თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ მასწავლებელთა გადამზადების დროს არ ხდება მათთვის გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, თუმცა, ხაზს უსვამენ მის მნიშვნელობასა და საჭიროებას.

კვლევები ადასტურებს, რომ რეკომენდირებულია, მასწავლებელთა საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავდეს შესაძლებლობას, მიიღონ გენდერულად მგრძნობიარე ცოდნა, უნარები და განავითარონ ეს დამოკიდებულება საკლასო ოთახებში, რესურსების გამოყენებისას, აქტივობების განხორციელებისას და მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს. ასევე, განათლების სამინისტროებმა უნდა განავითარონ სახელმძღვანელოები და მასალები, ამასთან, შეიმუშაონ მექანიზმები,

[20]გენდერული თანასწორობის საკითხი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლისას, სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი. 2012, გვ. 31.
[21]http://eqe.ge/geo/education/professional_education/occupational_standards_list

თუ როგორ განახორციელონ მონიტორინგი და საგანმანათლებლო პოლიტიკის დოკუმენტების შეფასება გენდერული თანასწორობის პერსპექტივიდან.[22]

გენდერული თანასწორობის შესახებ მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევის შედეგების მიხედვით, მასწავლებლები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ მათ ინფორმირებულობას: „მონაწილეებს მეტწილად ახსოვთ ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის სტანდარტის ფუნქციური დატვირთვა. ასევე იციან, რომ არც ერთ ამ დოკუმენტში არ არის შესული პუნქტი გენდერული თანასწორობის შესახებ... მხოლოდ რამდენიმე მასწავლებელი აღმოჩნდა მომხრე, რომ განათლების სისტემის მარეგულირებელ დოკუმენტებში შევიდეს გენდერული საკითხების ამსახველი პუნქტი. ისინი მისაღებად მიიჩნევენ ამგვარ დებულებას: „მასწავლებელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას გენდერული თანასწორობის შესახებ". არგუმენტად, თუ რატომ უნდა იყოს ეს დებულება საკანონმდებლო ბაზაში, დასახელდა ის, რომ ამ შემთხვევაში მასწავლებელი უფრო მეტად დაინტერესდება აღნიშნული საკითხით, მოიძიებს და წაიკითხავს ინფორმაციას."[23]

პროფესიული განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის შესახებ მასწავლებელთა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა როლზე მინიშნებას შეიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული ეთიკის კოდექსი და საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ". თუმცა, მათში არ არის მოცემული კონკრეტული აქტივობები, თუ როგორ შეიძლება პროფესიული განათლების პროცესში გენდერული თანასწორობის მიღწევა და ხელშეწყობა:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის ბრძანების (№164/ნ) „პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ" მეოთხე მუხლის მე-12 პუნქტში აღნიშნულია: „მასწავლებელი იჩენს თანაბარ ყურადღებას ყველა პროფესიული სტუდენტის მიმართ, განურჩევლად სქესისა, რასისა, ენისა ... ან სხვა ნიშნისა".

ბ) საქართველოს 2007 წლის კანონის „პროფესიული განათლების შესახებ" 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს: „პროფესიულ სტუდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად მათი სქესისა, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებებისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვა".

[22]Gender-Stereotypes Belief and Practices in the Classroom: The Nigerian Post-Primary School Teachers', Ayodeji Ifegbesan, Global Journal of Human Social Science, Vol. 10 Issue 4 (Ver 1.0) September 2010, Pg. 29

[23]მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ, კვლევის ანგარიში, 2014წ. გვ. 14-15.

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 2 ივნისის ბრძანების (№97/ნ) „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" მეექვსე მუხლში, რომელიც შეეხება სასწავლო გარემოს, განსაზღვრულია, რომ მასწავლებელი იცნობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, ეხმარება სტუდენტებს ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში, მაგრამ არაფერია ნათქვამი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის კუთხით მის აქტიურობასა და როლზე.

საქართველოში 2014 წელს განხორციელდა „მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ", რომლის შედეგების მიხედვით, საკმაოდ რთული მდგომარეობაა მასწავლებლებს შორის გენდერული თანასწორობის არსის გაგებისა და გააზრების კუთხით. ამის მიზეზად კი შეიძლება დასახელდეს სახელმწიფოში ერთიანი სტრატეგიისა და გეგმის არარსებობა, რომელიც უზრუნველყოფდა მასწავლებელთა ინფორმირებულობასა და გადამზადებას გენდერული თანასწორობის საკითხებში.

კვლევის შედეგების ინტერპრეტაციის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ „გამოკითხულ მასწავლებელთა ცოდნა არის ზედაპირული. ისინი თავადვე აღნიშნავენ, რომ „გენდერის საკითხზე თავის დროზე არ უსწავლიათ", არც რაიმე ტრენინგი აქვთ გავლილი. შესაბამისად, ინფორმაცია, რომელსაც ფლობენ, ძირითადად მასმედიის საშუალებით აქვთ მიღებული. მათი ცოდნა ფრაგმენტული და ასოციაციურია, არ ეფუძნება თეორიებს ან კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციას, გამომდინარეობს ტრადიციული ან/და რელიგიური შეხედულებებიდან. ტერმინი „გენდერული როლები" გაგებულია როგორც ისტორიულ-კულტურულ, ისე თანამედროვე ჭრილში. რესპონდენტები ამბობენ, რომ ტრადიციული შეხედულებებით, გენდერული როლი სქესის ბიოლოგიური ფაქტორით განისაზღვრება. ამაზე მეტყველებს, მაგალითად, თუნდაც ის ფაქტი, რომ არსებობს „ქალური და მამაკაცური პროფესიები".[24]

3. თანასწორობა განათლების შედეგების მიხედვით

განათლების შედეგების მიხედვით, თანასწორობის ნაწილში გაანალიზდა განათლების მიღების შემდეგ ქალთა დასაქმების შესაძლებლობა და სტერეოტიპების გავლენა ამ მიმართულებით.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 აგვისტოს დადგენილების (№150) „საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ" თანახმად, „კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს ქალთა პროფესიულ განათლებაზე, როგორც მათი დამოუკიდებლობისა და სოციალური პრესტიჟის ამაღლების საშუალებაზე".

[24]მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ, კვლევის ანგარიში, 2014წ. გვ.13.

2012 წელს საქართველოში პროფესიული განათლებისა და ტრენინგების რეფორმის შესახებ მომზადებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქალების 75%-ში, 18-35 წლისა (71%) და 56 წელს ზემოთ მყოფ ადამიანებში (80%) ჭარბობს უმუშევრობის ძლიერი აღქმა.[25]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საინტერესოა მასწავლებელთა დამოკიდებულება ქალთა დასაქმებასთან დაკავშირებით. გენდერული თანასწორობის შესახებ მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევის თანახმად:

„გენდერულ როლებზე უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქალის ფუნქციაა შვილების მოვლა და აღზრდა, ხოლო დედა, რომელიც ძიძასთან ტოვებს შვილს, მის განვითარებას საფრთხეს უქმნის. ქალმა არ შეიძლება, უარი თქვას საშინაო საქმეების კეთებაზე, ხოლო კაცმა – ეკონომიკური შემოსავლის უზრუნველყოფაზე. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების უმრავლესობას მოჰყავს პრაქტიკული მაგალითები ქართული რეალობიდან, თუ როგორ გაიზარდა ქალთა აქტიურობა ფინანსური კრიზისის დაძლევის კუთხით 90-იანი წლების შემდეგ და რომ ამჟამად ოჯახის მარჩენალთა დიდი ნაწილი სწორედ ქალია, მათ მიაჩნიათ, რომ ეს არის თავისთავად „მძიმე ფაქტი", „საზოგადოების მანკიერება" და თუ იქნება შესაძლებლობა, უმჯობესია, ქალი არ მუშაობდეს, ან ნაკლებად დატვირთული იყოს".[26]

მასწავლებლები განათლების მიღების უფლებას უფრო ბიჭების პრიორიტეტად მიიჩნევენ:

„მონაწილეები აღიარებენ, რომ საქართველოში გენდერული დისკრიმინაცია განათლების მიღების კუთხით არ არსებობს. თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ განათლება ბიჭისათვის უფრო პრიორიტეტულია შემდგომში დასაქმებისა და ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფისთვის, ქალი კი ბოლოსდაბოლოს გათხოვდება და „ამით გადაირჩენს თავს": „მე, როგორც დამრიგებელს, მითქვამს კლასში: ის რომ გოგოა და არ სწავლობს, ბოლოსდაბოლოს გათხოვდება და შენ ბიჭი რომ ხარ, წინსვლა ხომ გინდა-მეთქი".[27]

4. თანასწორობა შედეგების მიხედვით

აღნიშნული ნაწილი მთლიანად ეთმობა ქალთა შესაძლებლობას, მიიღონ აქტიური მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, ასევე მოცემულია დასაქმების რეალური მაჩვენებლები.

[25]Strategy for reform of vocational education and training (2009-2012), Report on main outputs and outstanding challenges, 2012. Pg.17

[26]მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ, კვლევის ანგარიში, 2014წ. გვ.16.

[27]მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ, კვლევის ანგარიში, 2014წ. გვ.20.

კვლევაში „განათლების სფერო და გენდერული თანასწორობის საკითხები" გაანალიზებულია საკითხები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს გენდერულ უთანასწორობას განათლების სფეროში. მაგალითად, 2010-2011 სასწავლო წლის მონაცემების თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტებიდან ქალების რაოდენობა შეადგენს 56.5%-ს, რაც აღემატება სტუდენტი კაცების მაჩვენებელს. 2009/2010 წლებში უფრო მეტი ქალი იღებდა დოქტორის ხარისხს, ვიდრე კაცი. ამის მიუხედავად, უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორების გადანაწილებაში სრულიად სხვა სურათს ვხედავთ. 2009/2010 წლებში სრული პროფესორის სტატუსით სარგებლობს 663 ქალი, მაშინ როცა კაცების მაჩვენებელი შეადგენს 1148-ს. ამ მაჩვენებლების ინტერპრეტაციის დროს მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეს, ერთი შეხედვით პარადოქსული სურათი, შესაძლებელია გამოწვეული იყოს განათლების პროცესში ჩადებული სტერეოტიპული ორიენტირებით.

მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავებები შეინიშნება ხელფასებთან დაკავშირებით. 2012 წლის პირველ ნახევარში საშუალო თვიური ხელფასი დასაქმებული ქალების შემთხვევაში (488.7 ლარი) მხოლოდ 60 პროცენტით უახლოვდება კაცების საშუალო თვიურ ხელფასს (828.4 ლარი). ქალები ხშირად დასაქმებულნი არიან დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე ისეთ სექტორებში, რომელიც მათ ნაკლებად მიმზიდველ ხელფასს სთავაზობს.[28]

საქართველოში შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ საპილოტე კვლევის მონაცემების გაანალიზების შემდეგ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გენდერული თანასწორობის კუთხით კვლავ პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა პროფესიაში ქალებისა და კაცების გენდერული პარიტეტი. აღნიშნული კვლევის თანახმად, ტურიზმის სექტორში უფრო მეტი ქალია დასაქმებული, ვიდრე კაცი. საშუალოდ, კომპანიას დასაქმებული ჰყავს 42 ქალი და 30 კაცი. ტანსაცმლის ბიზნესში ბევრად მეტი ქალია დასაქმებული, ვიდრე კაცი. საშუალოდ, თითო კომპანიაში დასაქმებულია 90 ქალი და 9 კაცი. ინფორმაციისა და კომუნიკაციების სექტორში უფრო მეტი კაცია დასაქმებული, ვიდრე ქალი. საშუალოდ, კომპანიას დასაქმებული ჰყავს 43 კაცი და 23 ქალი. კვების გადამამუშავებელ მრეწველობაში ორჯერ მეტი კაცია დასაქმებული, ვიდრე ქალი (62 კაცი და 31 ქალი).[29]

2013 წელს მიღებულ იქნა საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმა (№199).

სტრატეგიის ამოცანებად მოცემულია „შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად უმუშევართა პროფესიული სწავლების (მომზადება/გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება) მხარდაჭერა და პროფორიენტაციის, კონსულტაციისა და კარიერის

[28]Strategy for reform of vocational education and training (2009-2012), Report on main outputs and outstanding challenges, 2012. Pg.18
[29]Pilot Survey of Labour Market Needs in Georgia, Tourism, Apparel, ICT, Food Processing

განვითარების სისტემის ფორმირება/განვითარება, რომელიც მოიცავს მინიშნებას გენდერული თანასწორობის შესახებ. თუმცა, აღნიშნულ სტრატეგიაში ასევე არ გვხვდება ინფორმაცია იმ სავარაუდო აქტივობების შესახებ, რომლებიც შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის მიღწევის საფუძველი.

IX. დასკვნა

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება საქართველოში პროფესიული განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე.

საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიასა (2013-2020) და სამოქმედო გეგმაში (2013-2017) გენდერული თანასწორობა მხოლოდ დეკლარირებული ფორმით არის წარმოდგენილი. მართალია, სტრატეგია აღიარებს გენდერულ თანასწორობას, როგორც ერთ-ერთ ძირითად პრინციპს პროფესიული განათლების მიღების პროცესში, მაგრამ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ მოიცავს კონკრეტულ აქტივობებს, რომლებიც შეიძლება შეფასდეს, როგორც გენდერული თანასწორობის მიღწევის საშუალება. სამოქმედო გეგმაში მოცემულია სქესის ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკის წარმოების ვალდებულება, მაგრამ აღნიშნული აქტივობები ჯერჯერობით არ არის განხორციელებული.

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ მოიცავს გენდერული თანასწორობის მიღწევის გაზომვის შესაძლებლობებს უშუალოდ სასწავლო პროცესში და შედეგების კუთხით. აღნიშნული საკითხები საერთოდ არ არის დარეგულირებული.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კვლევის განმახორციელებელმა გუნდა შეიმუშავა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა ადრესატიც არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:

X. რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით, მოხდეს კონკრეტული აქტივობების დროში გადანაწილების შესახებ მითითება. კერძოდ:

- სქესის ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკის მუდმივი წარმოება;
- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის დროს შემუშავდეს სასწავლო მოდული, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობასა და რეალურ გამოყენებაზე,

ამასთან, მიმართული იქნება გენდერული როლების არასწორი გაგების აღმოფხვრისაკენ;

- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს ტრადიციების უარყოფით გავლენაზე პროფესიების არჩევისა და განათლების მიღების ხელმისაწვდომობის მიმართულებით;
- პროფესიული განათლების სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში უნდა განისაზღვროს გენდერულად მგრძნობიარე სასწავლო გარემოს, სერვისებისა და მასალების შემუშავების პროცედურები;
- აუცილებელია, სხვადასხვა პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ლიტერატურის გენდერული ანალიზი;
- აქტივობების შემუშავებამდე, მნიშვნელოვანია, ჩატარდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კანონმდებლობის გენდერული ანალიზი;
- აუცილებელია, კონკრეტული სამოქმედო გეგმის არსებობა, რომელიც ხელს შეუწყობს ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ქალებსა და კაცებს შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრას;
- მნიშვნელოვანია, რომ გენდერული თანასწორობის საკითხები ასახული იყოს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველოს პროგრამებსა და ტრენინგ-მოდულებში;
- აუცილებელია სკოლის მასწავლებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორ-მასწავლებლების გადამზადება გენდერული თანასწორობის საკითხებში.